სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080122652167523

№ 1113 05 / აპრილი / 2023 წ.

შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“;

გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების რეკვიზიტები: 11.11.2021, №0300/11/195 (CMR210125867);

შესყიდვის ობიექტები: 45400000 – შენობის დასრულების სამუშაოები, 71200000 – არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები, 71600000 – ტექნიკური შემოწმება, ანალიზი და საკონსულტაციო მომსახურებები;

მიმწოდებელი: შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი“ (ს/ნ: 205204250);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 11 იანვარს წარმოდგენილ იქნა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2023 წლის 11 იანვრის № 01/171 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 152), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“ (ს/ნ: 205204250) მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული 2021 წლის 11 ნოემბრის № 0300/11/195 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით (CMR210125867) ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის info@mamisoni.ge მეშვეობით, 2023 წლის 23 იანვრის №277 წერილით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2023 წლის 2 თებერვალს სააგენტოში წარმოადგინა 2023 წლის 31 იანვრის № M-07/23 განმარტება (რეგისტრაციის № 1010) მის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული 2021 წლის 11 ნოემბრის №0300/11/195 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით (CMR210125867) ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.4. „შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“ შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 13 მარტის № 820 განკარგულებით ერთი თვით გაგრძელდა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2023 წლის 11 იანვრის № 01/171 წერილობითი შეტყობინების (რეგისტრაციის №152) საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

1.5. 2023 წლის 14 მარტს, სააგენტოს 2023 წლის 6 მარტის № 867 წერილის პასუხად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ წარმოადგინა 2023 წლის 13 მარტის № 01/2401 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის № 2254) მიმწოდებლის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული 2021 წლის 11 ნოემბრის

№0300/11/195 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით (CMR210125867) ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

2.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის თანახმად, ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული იყო სადგურის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული, როგორც საპროექტო სამუშაოები, ასევე დამუშავებული პროექტის შესაბამისად რეკონსტრუქციისა და კაპიტალური შეკეთებისთვის აუცილებელი სამუშაოები, რაც დეტალურად იყო გაწერილი ტექნიკურ დავალებაში. ამასთან, ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მიმწოდებელმა დაადასტურა მზადყოფნა არსებული პროექტის მიხედვით გათვალისწინებული სამუშაოების დარჩენილი ნაწილის დასრულებაზე და ასევე დამატებითი სამუშაოების შესრულებაზე, რაც დაკავშირებული იყო ბაქნის დემონტაჟთან და ახლის მონტაჟთან. აღნიშნული კი, თავის მხრივ, მოიაზრებდა ბაქნის ანაკრები რკინა-ბეტონის ფილების საყრდენი ბურჯების კონსოლების გამოკვლევას. სწორედ კონსოლების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის დროს დადგინდა, რომ ოთხი კონსოლის მუშა არმატურის კოროზიის შედეგად, მათი დიამეტრი იყო შემცირებული, რის საფუძველზეც მიღებულ იქნა შემდგომი საპროექტო გადაწყვეტილებები კონსოლების გამაგრების შესახებ. შემსყიდველმა ორგანიზაციამ ასევე მიუთითა, რომ ტექნიკური დავალების მიხედვით, მიმწოდებელს, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეესრულებინა სამუშაოები, რაც წინასწარ ვერ იქნებოდა გათვალისწინებული და რომელთა საჭიროებაც სამუშაოების მიმდინარეობის დროს გამოვლინდებოდა. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს ცვლილებები უნდა შეეტანა დაუსრულებელი სამუშაოების პროექტის ნაწილშიც. ამდენად, ის შეუსაბამობები, რომელთა გამოც სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მიერ დაჯარიმდა შემსყიდველი ორგანიზაცია (პროექტთან შეუსაბამობა დადგინდა არა მარტო არსებულ პროექტთან მიმართებაში, არამედ მიმწოდებლის მიერ დამუშავებულ კონსოლის გამაგრების კონსტრუქციულ პროექტთან მიმართებაშიც), წარმოადგენდა მიმწოდებლის პასუხისმგებლობას. დამატებითი ინფორმაციის მიხედვით, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა მიმწოდებლის მითითება იმის თაობაზე, რომ სამუშაოები დაასრულა და სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ წარედგინა შესაბამისი დოკუმენტაცია ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად. ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოები დასრულებულად ითვლებოდა მას შემდეგ, რაც ექსპერტიზით დადასტურდება შესრულებული სამუშაოების პროექტთან და სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობა, ასევე ექსპლუატაციაში მისაღებად სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მიერ მოთხოვნილი იყო შესაბამისი სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმების აქტის წარდგენა, რაც მიმწოდებელს არ განუხორციელებია. დამატებით ინფორმაციაში ასევე აღნიშნული იყო, რომ 2022 წლის 1 დეკემბრის № 01/9701 წერილით, მიმწოდებელს ეცნობა შესრულებულ სამუშაოებში გამოვლენილი არაერთი ხარვეზის შესახებ, რომელთა დიდი ნაწილიც არ გამოსწორებულა. ამდენად, ვალდებულებების შესრულების ვადის გაზრდისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადის რამდენჯერმე გაგრძელების მიუხედავად, მიმწოდებელმა ვერ შეძლო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება. დამატებით ინფორმაციაში ასევე დეტალურად იყო აღნიშნული იყო, რომ ტექნიკური დავალების შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოები უნდა შესრულებულიყო არსებული პროექტის დაუსრულებელი ნაწილის, მიმწოდებლის მიერ დამუშავებული და შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეთანხმებული დამატებით შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების მიმდინარეობის დროს საჭირო გახდებოდა დამატებითი სამუშაოების შესრულება, რასაც არ ითვალისწინებდა შეთანხმებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, მიმწოდებელს უნდა განეხორციელებინა აღნიშნულისთვის აუცილებელი ცვლილებები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში კანონმდებლობის შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები უნდა შეეთანხმებინა ნებართვის გამცემ ორგანოებთან. ტექნიკური დავალება ასევე მოიცავდა წინასაპროექტო კვლევის ჩატარებას. ამდენად, დამატებითი სამუშაოებისა და კვლევების ჩატარების საჭიროების შესახებ მიმწოდებლისთვის ცნობილი იყო ხელშეკრულების დადებისას და აღნიშნული წარმოადგენდა ხელშეკრულებით/ტექნიკური დავალებით დადგენილ ვალდებულებას, რის შესაბამისადაც, სახეზე იყო არა დამატებითი, არამედ ხელშეკრულებითა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული სამუშაოები, ხოლო ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება არ შეიძლება განხილულიყო, როგორც ვალდებულების შესრულების შემაფერხებელი გარემოება. დამატებით ინფორმაციაში ასევე აღნიშნული იყო, რომ 2022 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს საპატიოდ ჩაუთვალა 12 დღე, ხოლო რაც შეეხებოდა ყინვას, რის გამოც, მიმწოდებლის განმარტებით, ვერ სრულდებოდა ლითონკონსტრუქციის სამღებრო სამუშაოები, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიიჩნია, რომ სახურავის მოწყობის სამუშაოები დასრულდა დროულად და მისი მოწყობის სამუშაოებს, დროის მხრივ, გავლენა არ მოუხდენია სხვა სამუშაოების შესრულებაზე, კერძოდ, სახურავის მოწყობის სამუშაოების პარალელურად მიმწოდებელი ასრულებდა სხვა სამუშაოებსაც. დამატებითი ინფორმაციის თანახმად, ბაქნის დემონტაჟის სამუშაოები ნამდვილად შეფერხდა 2021 წლის 1 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე (ელ. მომარაგების სამსახურის მიერ მისი კუთვნილი ძალოვანი კაბელები იდენტიფიცირებული და გადატანილი იქნა 2021 წლის ნოემბრის თვეში, მოთხოვნიდან ორ სამუშაო დღეში. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ მისი კუთვნილი კაბელების იდენტიფიცირების, მარკირების, მათი გადატანის და ჩაჭრის საჭიროების განსაზღვრის სამუშაოები შესრულდა 2021 წლის 2 დეკემბრიდან და 7 დეკემბრამდე, ხოლო სიგნალიზაციის და კავშირგაბმულობის სამსახურის მიერ

მეტროსადგურის ბაქნის ქვეშ გამავალი სიგნალიზაციის და კავშირგაბმულობის კაბელების იდენტიფიცირების, მარკირების, მათი გადატანის და ჩაჭრის საჭიროების განსაზღვრის სამუშაოები შესრულდა 2021 წლის 16 დეკემბრიდან 24 დეკემბრის პერიოდში), თუმცა მუშა არმატურის კოროზიით და მისი დიამეტრის შემცირებით გამოწვეული შედეგები სრულად მიმწოდებლის პასუხისმგებლობა იყო, ვინაიდან წინასაპროექტო კვლევა წარმოადგენდა მიმწოდებლის ვალდებულებას, შესაბამისად მისი პასუხისმგებლობების სფეროში შედიოდა არსებული პრობლემის დროული აღმოჩენა და გათვალისწინება. შემსყიდველმა ორგანიზაციამ ყურადღება გაამახვილა ფაქტზე, რომ ვალდებულებების შესრულების შემაფერხებელი გარემოებების გათვალისწინებით, მხარეთა შორის გაფორმდა ურთიერთშეთანხმების აქტი და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გაიზარდა 36 დღით. დამატებითი ინფორმაციის თანახმად, სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მიერ მიმწოდებლის განაცხადის განხილვა შემსყიდველი ორგანიზაციის ბრალით არ შეფერხებულა. დამატებითი ინფორმაციის თანახმად, ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ინსტალაციის პროცესი შეჩერდა შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელთა მოთხოვნის შესაბამისად, შეჩერების მიზეზი კი იყო ის, რომ უკვე დანერგილ „VMS“ სისტემასთან („Milestone Xprotect Corporate“), კერძოდ, კი ამ სისტემის „5.0c“ ვერსიასთან მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული „Milesight MS-C5373-PD“ სამეთვალყურეო კამერების თავსებადობის დამადასტურებელი დოკუმენტი/მტკიცებულება არ წარდგენილა. ამასთან, „VMS“ სისტემის ავტორის ვებ-გვერდზეც ვერ იქნა მოძიებული აღნიშნული ინფორმაცია, რის შესახებაც მიმწოდებელს განემარტა ხსენებული კამერების შეთავაზებისთანავე. შემსყიდველმა ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ვალდებულებების შესრულების ობიექტური გარემოებებით გამოწვეული შეფერხების შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების ვადა გაგრძელდა, თუმცა სხვა დროს ვალდებულებების შესრულების შეფერხება გამოწვეული იყო სამუშაოების არასწორი დაგეგმვით, ორგანიზებით და სამუშაოების მიმდინარეობის დაბალი ტემპით, რის შესახებაც არაერთხელ იქნა გაფრთხილებული მიმწოდებელი, ასევე ხელშეკრულების მოქმედების ვადა რამდენჯერმე გაიზარდა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო სამუშაოების დასრულება, თუმცა, უშედეგოდ. ამდენად, 2023 წლის 20 იანვრამდე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად, ვინაიდან არ არსებობდა მიმწოდებლის მხრიდან სამუშაოების დასრულების პერსპექტივა, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოიწურა იმგვარად, რომ ობიექტი არ იყო ექსპლუატაციაში მიღებული. შემსყიდველმა ორგანიზაციამ ასევე აღნიშნა, რომ სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მიმწოდებლის მიერ ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნით წარედგინა მხოლოდ ეტაპის დასრულების ოქმები, რაც კანონმდებლობის შესაბამისად არ წარმოადგენდა ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებისათვის საკმარის პირობას. წარსადგენი დოკუმენტაცია, მათ შორის, მოიცავდა აკრედიტებული საექსპერტო ორგანოს მიერ მომზადებულ შესრულებული სამუშაოების პროექტთან და სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობის დასკვნას (შენობა-ნაგებობის ნაწილ(ებ)ის შემდგომი უსაფრთხო ექსპლუატაციის (ფუნქციონირების) მზადყოფნის შესახებ) და შესაბამისი სამსახურის მიერ განხორციელებულ შემოწმების აქტს, რაც მიმწოდებლის მიერ არ შესრულდა. ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილებისთვის, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გადაწყდა სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის“ მიმართვა მას შემდეგ, რაც ყველა საჭირო დოკუმენტაცია მომზადდებოდა, რის გამოც შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმართა სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მიმწოდებლის მიერ წარდგენილი განცხადების განუხილველად დატოვების მოთხოვნით, რადგან მიმწოდებლის მიერ მომზადებული და სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის“ წარდგენილი დოკუმენტაცია იმდენად არასრული იყო, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კვლავ მიმდინარეობდა აღნიშნულის სრულყოფა და ობიექტი ექსპლუატაციაში კვლავ არ იყო მიღებული.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის წერილობითი განმარტების თანახმად, სამუშაოების დაწყებამდე საჭირო იყო შესაბამისი ნებართვის აღება, ხოლო პროექტში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება იწვევდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეთანხმებას ცვლილების შესაბამისი სამშენებლო ნებართვის კვლავ აღების უზრუნველსაყოფად. მიმწოდებელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ წარმოიშვა, როგორც დამატებითი სამუშაოების, ასევე კვლევების ჩატარების აუცილებლობა, რამაც, თავის მხრივ, შეაფერხა ვალდებულებების შესრულების პროცესი. ამასთან, სამუშაოების წარმოების დროს გაირკვა, რომ საჭირო იყო წინა კონტრაქტორი კომპანიის მიერ შედგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანა, რაც იწვევდა სამუშაოების წარმოების მუდმივ შეჩერებას. მიმწოდებლის განმარტებით, ასევე გამოიკვეთა ძირითად სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული დამაბრკოლებელი გარემოებებიც (2022 წლის დასაწყისში დაბალი ტემპერატურის გამო ვერ განხორციელდა სამღებრო სამუშაოები, რის გამოც შეჩერდა სახურავის მოწყობის სამუშაოები, ასევე ბეტონის დამცავი ფენის მოცილების გამო მუშა არმატურა იყო კოროზირებული და არმატურის დიამეტრი იყო შემცირებული, ხოლო პროექტში ცვლილებების შეტანას და სამუშაოების საწარმოებლად გამოსაყენებელი მასალის შეთანხმებას ჭირდებოდა ხანგრძლივი პერიოდი), რაც იწვევდა სამუშაოების ნაწილობრივ ან სრულად შეჩერებას. მიმწოდებელმა ასევე მიუთითა, რომ პროექტში არაერთხელ განხორციელდა ცვლილება, რაც გამოწვეული იყო შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნით და ვალდებულებების შესრულებისას გამოვლენილი დამატებით შესასრულებელი სამუშაოების აუცილებლობით. მიმწოდებელმა ასევე მიუთითა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილების მესამედ განხორციელებისას სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მიერ, სამშენებლო ნებართვის მოთხოვნის პასუხად, მიმწოდებელი დაჯარიმდა სამუშაოების პროქტის შეუსაბამოდ წარმოების გამო და ეთხოვა ჯარიმის გადახდა, თუმცა გამოვლენილ დარღვევასთან დაკავშირებით მიმწოდებელს ბრალი არ მიუძღვოდა, რამდენადაც პირველი

სართულის სამომსახურეო ოთახების გეგმარება ტენდერის ფარგლებში განახორციელა სხვა კომპანიამ. საბოლოოდ, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია დაჯარიმდა სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მიერ, ხოლო აღნიშნული ჯარიმა შემსყიდველმა ორგანიზაციამ გადაიხადა 2022 წლის 2 დეკემბერს, რა დრომდეც (23 კალენდარული დღის განმავლობაში) სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ“ არ განიხილა მიმწოდებლის განცხადება. მიმწოდებელმა ასევე მიუთითა, რომ ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მონტაჟისას მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის დაუსაბუთებელი მოთხოვნის გამო მოუწია სამუშაოების შეჩერება 9 კალენდარული დღით. ვალდებულებების შესრულების შემაფერხებელი არაერთი გარემოების არსებობის მიუხედავად, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდა 2023 წლის 20 იანვრის ჩათვლით, თუმცა, უშედეგოდ. აღნიშნულის მიუხედავად, მიმწოდებელმა დაასრულა სამუშაოები და სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნით, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნით არ იქნა განხილული. მიმწოდებელმა აღნიშნა, რომ სამუშაოები არცერთხელ არ შეჩერებულა მიმწოდებლის ბრალით, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების მოქმედების ვადას აგრძელებდა საკუთარი შეხედულებით და არა საჭირო ვადით, რამდენადაც ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა არა მოთხოვნილი პერიოდით, არამედ ნაკლები ვადით.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2021 წლის 11 ნოემბერს მხარეთა შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დაიდო № 0300/11/195 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (CMR210125867), რომლის თანახმად, მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მისი გაფორმებიდან 210 კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 4 744 300 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2022 წლის 7 სექტემბერი.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 4 მაისის № 01/3440 წერილის მიხედვით, მიმწოდებლის მიერ წარდგენილი კონცეფციის ორი ვარიანტი და საპროექტო დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილი, ხოლო კვლევის შედეგები, საბოლოო დეტალური პროექტი და ექსპერტიზის დასკვნები საერთოდ არ იყო წარდგენილი. ასევე საპროექტო დოკუმენტაცია არ იყო შეთანხმებული სამშენებლო სამუშაოებზე ნებართვის გამცემ ორგანოსთან. ამავე წერილის მიხედვით, 2022 წლის მარტისა და აპრილის თვეში სამუშაოები მიმდინარეობდა ძალიან დაბალი ტემპით ან/და შეჩერებული იყო. ამდენად, ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა ქმედითი ღონისძიებების გატარება ხელშეკრულებითა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დროულად დასრულების მიზნით და დარჩენილი სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის წარდგენა.

4.3. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 3 ივნისის № 01/4356 წერილის მიხედვით, მიმწოდებლის მიერ წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია შეიცავდა ხარვეზებს. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა საპროექტო დოკუმენტაციაში საჭირო ცვლილებების განხორციელება შენიშვნების შესაბამისად, ასევე ქმედითი ღონისძიებების გატარება ხელშეკრულებითა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დროულად დასრულების მიზნით და დარჩენილი სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის წარდგენა.

4.4. სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2022 წლის 7 ივნისის № 12/1-825 ცნობის მიხედვით, 2022 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩაათვლით 33 დღის განმავლობაში აღინიშნა ნალექი.

4.5. მიმწოდებლის 2022 წლის 10 ივნისის № M-207/22 წერილით, იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის შეთანხმებას და სამშენებლო ნებართვის მოპოვებას ჭირდებოდა გარკვეული დრო და ასევე ვალდებულებების შესრულების შემაფერხებელი გარემოებების გათვალისწინებით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა ვალდებულებების შესრულების ვადის გაზრდა 67 დღით.

4.6. მიმწოდებლის 2022 წლის 21 სექტემბრის № M-366/22 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას წარედგინა კორექტირებული პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, ასევე ექსპერტიზის დასკვნა და ეთხოვა მათი განხილვა და შეთანხმება.

4.7. მიმწოდებლის 2022 წლის 10 ოქტომბრის № M-392/22 წერილით, იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაოების შესრულების პროცესში პროექტში რამდენჯერმე საჭირო გახდა ცვლილების შეტანა და ასევე ვალდებულებების შესრულების შემაფერხებელი გარემოებების გათვალისწინებით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდა 2022 წლის 1 ნოემბრამდე.

4.8. მიმწოდებლის 2022 წლის 27 ოქტომბრის № M-419/22 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ სამუშაოების დიდი ნაწილი დასრულებული ან დასრულების ეტაპზე იყო. ამავე წერილის მიხედვით, სამუშაოების წარმოების პროცესში წარმოიშვა დამატებითი სამუშაოების შესრულების საჭიროება, ხოლო სამუშაოების/მასალების ცვლილება/დამატება მოითხოვდა დამატებით ექსპერტიზას და შეთანხმებას. ამასთან, სამუშაოების დასრულების შემდეგ ასევე საჭირო იყო ექსპერტიზის ჩატარება და ეტაპის დასრულების ოქმების შედგენა, ისევე როგორც ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებული გარკვეული პროცედურების გავლა. ამდენად, ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდა 2022 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით.

4.9. მიმწოდებლის 2022 წლის 9 ნოემბრის № M-428/22 წერილით, სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ წარედგინა კორექტირებული პროექტი თანდართული დოკუმენტაციით და ეთხოვა მშენებლობის ნებართვის გაცემა ცვლილებების გათვალისწინებით.

4.10. მიმწოდებლის 2022 წლის 9 ნოემბრის № M-429/22 წერილის მიხედვით, სამუშაოები დასრულებული ან დასრულების ეტაპზე იყო. ამავე წერილის მიხედვით, სამუშაოების წარმოების პროცესში წარმოიშვა დამატებითი სამუშაოების შესრულების საჭიროება, რაც მოითხოვდა დამატებით ექსპერტიზებსა და მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოსთან კორექტირებული პროექტის შეთანხმებას. ამასთან, სამუშაოების დასრულების შემდეგ ასევე საჭირო იყო ექსპერტიზის ჩატარება და ეტაპის დასრულების ოქმების შედგენა, ისევე როგორც ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებული გარკვეული პროცედურების გავლა. ამდენად, ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდა 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.11. მხარეთა შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების აქტებით, დაკორექტირდა სამუშაოების შესრულების ხარჯთაღრიცხვა, ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 4 705 166,8 ლარი, ვალდებულებების შესრულების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 246 კალენდარული დღე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად – 2022 წლის 31 დეკემბერი.

4.12. სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ 2022 წლის 11 ნოემბრის № 04/1281 წერილით, მიმწოდებელს ეცნობა, რომ იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას დაეკმაყოფილებინა მიმწოდებლის მოთხოვა დაკისრებული ჯარიმის გადახდამდე, რადგან მიმწოდებელმა სამშენებლო სამუშაოები აწარმოა შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის დარღვევით.

4.13. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 1 დეკემბრის № 01/9701 წერილის თანახმად, სამუშაოები შესრულებული იყო არასრულად და ხარვეზებით (შესასრულებელი იყო კიბის უჯრედში ტაქტილური ბილიკების მოწყობის, სადგურის დასუფთავების, ავარიული განათებისთვის მუდმივი კვების წყაროს მონტაჟისა და სხვა სამუშაოები, ხოლო ხარვეზებით იყო შესრულებული სადგურის ფასადის, კედლებისა და უჯრედოვანი დეკორის, ასევე მოაჯირის შეღებვის, ლიფტის სამოძრაო არეალის კიბის უჯრედში მარკირების, სამომსახურო სივრცეში სველი წერტილის მოწესრიგების და სხვა სამუშაოები). ამასთან, კორექტირებული პროექტი შესათანხმებელი იყო და გარკვეულ სამუშაოებზე ჩასატარებელი იყო ექსპერტიზა, ასევე წარსადგენი იყო ექსპლუატაციაში მიღების დოკუმენტი, რის გამოც ვერ ხერხდებოდა სადგურის გახსნა. ამავე წერილით, მიმწოდებელს განემარტა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა ამოიწურა 2022 წლის 15 ივლისს, სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა იწურებოდა 2022 წლის 31 დეკემბერს, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 2022 წლის 31 დეკემბერს. წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მიერ შემსყიდველი ორგანიზაცია დაჯარიმდა 20 000 ლარის ოდენობით („შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ დაჯარიმების შესახებ“ სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ 2022 წლის 30 ნოემბრის № დად-205/09 დადგენილება), ქალაქ თბილისის მეტროპოლიტენის სადგურის რეკონსტრუქციისას შეთანხმებული სანებართვო პირობების დარღვევის გამო, ხოლო ხელშეკრულების მიხედვით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის მოპოვება (მასში ცვლილებების შეტანა) და შეთანხმებული პირობების შესაბამისად სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება მიმწოდებელს ევალებოდა. ამდენად, ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, მათ შორის, სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მიერ გაცემული ექსპლუატაციაში მიღების დოკუმენტის წარდგენა.

4.14. შპს „დელტა კონსალტინგის“ 2022 წლის 2 დეკემბრის № გ-0212/02 წერილის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, კომპანიის კვალიფიციური და სერტიფიცირებული წარმომადგენლები უზრუნველყოფდნენ მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული მოდელის კამერების ინტეგრაციას არსებულ სისტემასთან.

4.15. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 9 დეკემბრის №01/10067 წერილის თანახმად, სამეთვალყურეო კამერების ინსტალაციის პროცესი შეჩერდა შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელთა მოთხოვნით, თუმცა შეჩერების მიზეზი იყო ის გარემოება, რომ უკვე დანერგილ „VMS“ სისტემასთან, კერძოდ, ამ სისტემის „5.0c“ ვერსიასთან მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული „Milesight MS-C5373-PD“ სამეთვალყურეო კამერების თავსებადობის დასადასტურებლად არ იყო წარდგენილი რაიმე სახის დოკუმენტაცია და ვერც „VMS“ სისტემის ავტორის ვებ-გვერდზე იქნა მოძიებული აღნიშნული ინფორმაცია, რის შესახებაც მიმწოდებელს განემარტა ხსენებული კამერების შეთავაზებისთანავე. ამავე წერილით, მიმწოდებელს განემარტა, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას დასაშვებად მიაჩნდა შეთავაზებული კამერების სადგურზე მონტაჟი იმ შემთხვევაში, თუ მეტროსადგურის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებლის მიერ ნატვირთი საგარანტიო ვალდებულებების ფარგლებში „Milestone Sistems“-ის ოფიციალური პარტნიორი კომპანიის მიერ წარდგენილ იქნებოდა დამატებითი წერილი, სადაც დადასტურდება, რომ კომპანია სრულად იღებდა პასუხისგებლობას კამერების ინსტალაციისა და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის პროცესზე „Milestone Xprotect Corporate“-ის „5.0c“ ვერსიასთან, კამერების ინსტალაცია/ინტეგრაციის პროცესში ან მათ შედეგად წარმოქმნილ შესაძლო სისტემურ გაუმართაობებზე და ეთანხმებოდა ვალდებულებას, რომ ინსტალაციის დასრულებიდან არანაკლებ 2 წლის განმავლობაში, მიწოდებული კამერების არსებულ სისტემაში სტაბილური და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად,

დაუყოვნებლივ აღმოფხვრიდა ყველა ხარვეზს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ელ. ფოსტით გაგზავნილი შეტყობინებისთანავე.

4.16. მიმწოდებლის 2022 წლის 9 დეკემბრის № M-439/22 წერილით, 2022 წლის 9 დეკემბრის № 01/10067 წერილის პასუხად, შემსყიდველ ორგანიზაციას წარედგინა შპს „დელტა კონსალტინგის“ 2022 წლის 9 დეკემბრის №გ-0912/01 წერილი, რომლის მიხედვითაც კომპანია იღებდა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილ ვალდებულებებს. ამდენად, აღნიშნულთან დაკავშირებით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა საკუთარი პოზიციის წარდგენა.

4.17. სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ 2022 წლის 15 დეკემბრის № 04/1413 წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა დამატებითი ინფორმაციის წარდგენა საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანისა და მშენებლობის ნებართვის საკითხის გაცემასთან დაკავშირებით.

4.18. მიმწოდებლის 2022 წლის 19 დეკემბრის №M-444/22 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ მიმწოდებელმა დაასრულა სამშენებლო სამუშაოები და სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მიერ 2022 წლის 15 დეკემბერს მიმწოდებელს მოეთხოვა დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით, რასაც ესაჭიროებოდა გარკვეული დრო. ამდენად, აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში ობიექტი უნდა მიღებულიყო ექსპლუატაციაში, მიმწოდებელმა მოითხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდა 2023 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

4.19. მიმწოდებლის 2022 წლის 30 დეკემბრის № M-451/22 წერილით, სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ ეთხოვა მეტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების საკითხის დაჩქარებულ ვადაში განხილვა და წარედგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.

4.20. მიმწოდებლის 2022 წლის 30 დეკემბრის № M-454/22 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას კვლავ ეთხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდა 2023 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

4.21. მიმწოდებლის 2023 წლის 10 იანვრის № M-01/23 წერილით, სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ ეთხოვა მიმწოდებლის მიერ წარდგენილი განცხადების განხილვასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება.

4.22. სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ 2023 წლის 12 იანვრის № 04/25 წერილით, მიმწოდებელს განემარტა, რომ სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან ეცნობა ხელშეკრულების მოქმედების ვადის 2022 წლის 31 დეკემბერს ამოწურვის თაობაზე და აღნიშნულის გათვალისწინებით, ეთხოვა მიმწოდებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის განუხილველად დატოვება.

4.23. მიმწოდებლის 2023 წლის 17 იანვრის №M-02/23 წერილით, შემსყიდველ ორგანიზაციას კვლავ ეცნობა ვალდებულებების შესრულების შემაფერხებელი გარემოებების თაობაზე და განემარტა, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა უსაფუძვლოდ არ გაგრძელდა.

4.24. მხარეთა შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების აქტების მიხედვით, შესრულდა 2 572 928,25 ლარის ღირებულების ვალდებულებები (ხელშეკრულების ღირებულების 55%).

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4

პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა. მიმწოდებლის განმარტებაში დასახელებულ გარემოებებთან დაკავშირებით, სააგენტო აღნიშნავს, რომ მიმწოდებლის 2022 წლის 10 ივნისის, 10 და 27 ოქტომბრის, ასევე 9 ნოემბრის № M-207/22, № M-392/22, № M-419/22 და № M-429/22 წერილების გათვალისწინებით, მიმწოდებლის მიერ წერილებში მითითებული სხვადასხვა გარემოების, მათ შორის, ვალდებულებების შესრულების შემაფერხებელი გარემოებების მხედველობაში მიღების შედეგად, მხარეთა შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების აქტებით, ვალდებულებების შესრულების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 246 კალენდარული დღე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად – 2022 წლის 31 დეკემბერი. ყურადსაღებია მიმწოდებლის ზემოაღნიშნული წერილები, რომელთა მიხედვითაც, სამუშაოები დასრულებული ან დასრულების ეტაპზე იყო. ამავე წერილების მიხედვით, სამუშაოების წარმოების პროცესში წარმოიშვა ვალდებულებების შესრულების შემაფერხებელი გარემოებები, ასევე დამატებითი სამუშაოების შესრულების საჭიროება, რაც მოითხოვდა დამატებით ექსპერტიზებსა და მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოსთან კორექტირებული პროექტის შეთანხმებას, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდეგ ასევე საჭირო იყო ექსპერტიზის ჩატარება და ეტაპის დასრულების ოქმების შედგენა, ისევე როგორც ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებული გარკვეული პროცედურების გავლა. ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, მიმწოდებელმა მოითხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდა 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, მიმწოდებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა, უშედეგოდ. რაც შეეხება ვიდეოსამეთვალყურეო კამერებს, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, მათი ინსტალაციის პროცესი შეჩერდა შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელთა მოთხოვნის შესაბამისად, შეჩერების მიზეზი კი იყო ის, რომ უკვე დანერგილ „VMS“ სისტემასთან („Milestone Xprotect Corporate“), კერძოდ, კი ამ სისტემის „5.0c“ ვერსიასთან მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული „Milesight MS-C5373-PD“ სამეთვალყურეო კამერების თავსებადობის დამადასტურებელი დოკუმენტი/მტკიცებულება არ წარდგენილა. ამასთან, „VMS“ სისტემის ავტორის ვებ-გვერდზეც ვერ იქნა მოძიებული აღნიშნული ინფორმაცია, რის შესახებაც მიმწოდებელს განემარტა ხსენებული კამერების შეთავაზებისთანავე. ამდენად, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, ვალდებულებების შესრულების ობიექტური გარემოებებით გამოწვეული შეფერხების შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების ვადა გაგრძელდა, თუმცა სხვა დროს ვალდებულებების შესრულების შეფერხება გამოწვეული იყო სამუშაოების არასწორი დაგეგმვით, ორგანიზებით და სამუშაოების მიმდინარეობის დაბალი ტემპით, რის შესახებაც არაერთხელ იქნა გაფრთხილებული მიმწოდებელი, ასევე ხელშეკრულების მოქმედების ვადა რამდენჯერმე გაიზარდა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ვალდებულებების სრულად შესრულება, თუმცა, უშედეგოდ. მეტიც, სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ 2022 წლის 11 ნოემბრის №04/1281 წერილიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელმა სამშენებლო სამუშაოები აწარმოა შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის დარღვევით, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 1 დეკემბრის № 01/9701 წერილის თანახმად, სამუშაოები შესრულებული იყო არასრულად და ხარვეზებით (შესასრულებელი იყო კიბის უჯრედში ტაქტილური ბილიკების მოწყობის, სადგურის დასუფთავების, ავარიული განათებისთვის მუდმივი კვების წყაროს მონტაჟისა და სხვა სამუშაოები, ხოლო ხარვეზებით იყო შესრულებული სადგურის ფასადის, კედლებისა და უჯრედოვანი დეკორის, ასევე მოაჯირის შეღებვის, ლიფტის სამოძრაო არეალის კიბის უჯრედში მარკირების, სამომსახურო სივრცეში სველი წერტილის მოწესრიგების და სხვა სამუშაოები), რომელთა დიდი ნაწილიც, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, არ შესრულებულა/გამოსწორებულა. საქმეში არსებული მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოიწურა იმგვარად, რომ ობიექტი არ იყო ექსპლუატაციაში მიღებული, რადგან მიმწოდებელმა სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ დოკუმენტაცია წარუდგინა არასრულად. ამდენად, მოცემულ ფაქტებთან დაკავშირებული მსჯელობისა და საქმეში არსებული გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სახეზე არ არის მიმწოდებლის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამომრიცხავი გარემოება, რის შესაბამისადაც, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების ან გაფრთხილების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „სამშენებლო კომპანია მამისონს“ (ს/ნ: 205204250) 2022 წლის 9 ნოემბერს მიეცა გაფრთხილება NAT200005601 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, ხოლო მის შესახებ შავ სიაში იძებნება იძებნება 13 სარეგისტრაციო ჩანაწერი.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული გაფრთხილებისა და შავ სიაში დარეგისტრირების ფაქტების გათვალისწინებით, შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი“ (ს/ნ: 205204250) 2023 წლის 6 აპრილს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე